საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030113997622417

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/12694 **02 / მარტი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცლების დასაფინანსებლად ესაჭიროება „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (აპარატი)“ (პროგრამული კოდი - 35 01 04 01) პროგრამის “სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების გაზრდა ამავე მუხლის მე-3 და მე-4 კვარტლების ასიგნებების შემცირებისა და „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე. ასევე, „სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ცენტრს“ (პროგრამული კოდი- 35 01 04 06) კომუნალური ხარჯების დასაფინანსებლად ესაჭიროება „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების გაზრდა „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (აპარატი)“ (პროგრამული კოდი - 35 01 04 01) პროგრამის „საქონელი და მომსახურების“ მუხლის ასიგნების შემცირების ხარჯზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის N331 დადგენილების შესაბამისად შექმნილი რეფერალური კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე 2016 წლის 29 დეკემბერს „რეფერალური მომსახურების“ (პროგრამული კოდი -35 03 03 09) პროგრამის ფარგლებში შპს „წმინდა ლაზარე“-ს კლინიკის (ს/კ404866659) ანგარიშზე გადაირიცხა 530 ლარი. ვინაიდან დაწესებულებას ამ პერიოდისათვის შეეცვალა ანგარიშის ნომერი, აღნიშნული თანხა 2016 წლის სახელმწიფო ხაზინის ელექრონული მომსახურების სისტემის 2016 წლის ბოლო საოპერაციო დღეს - 30 დეკემბერს, დაბრუნდა ვალდებულებაზე (N2736). აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანების დაფარვის მიზნით, საჭიროა პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს ცვლილება და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „ვალდებულებების კლების“ მუხლი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განახორციელოთ „სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვის“ (პროგრამული კოდი - 35 01 04) პროგრამის დეტალურ ჩაშლაში ცვლილებები და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

ასევე, დანართის სახით წარმოგიდგენთ ინფორმაციას სახაზინო ვალდებულებების შესრულების შესახებ (ცნობა N2).

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია